



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი



ბრძანება № 352-14317

" 6 " აგვისტო 2014წ.

ქ. თბილისი

„სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2010 წლის 26 მარტის N90/10 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის №93 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და "ზოგიერთ საჯარო დაწესებულებაში სამუშაო დროის შესახებ" საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 04 აგვისტოს N270 ბრძანების მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1. „სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 26 მარტის N90/10 ბრძანების დანართი N1 დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გამოცდების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ყოველდღიურად სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება 09.00 საათიდან 18.00 საათამდე.

3. სამუშაო დღე განისაზღვრება ერთ საათიანი შესვენებით. შესვენება იწყება 13.00 საათზე და გრძელდება 14.00 საათამდე.“.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

მუხლი 3. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კანცელარიას (ე. მახარაძე) ამ ბრძანების გაცნობა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისათვის (ე.ოყროშიძე), რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს თანამაშრომელთა ინფორმირებას.

დირექტორი



მაია მიმინოშვილი